ეთიკის კომისიის

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
ინგა სეხნიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე
კონსტანტინე გელაშვილი – კოლეგიის წევრი
ირაკლი კორძახია – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორები: ა. კ., გ. ბ.
საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 26.01.2018
საჩივრის რეგისტრაციის №005/18
საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ დ. ა.-ის მიმართ, სიითი №....
საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ დ. ა.-სთვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 01 თებერვალს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართეს ა. კ.-მა, გ. ბ.-მა და მოითხოვეს ადვოკატ დ. ა.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 მომჩივანების განმარტებით, ისინი არიან შპს ,,...“-ის პარტნიორები, შპს-ს მათ გარდა კიდევ ორი პარტნიორი: ლ. და დ. ა.-ები ჰყავს. კომპანია ამ ეტაპზე გადახდისუუნაროა და კომპანიის დამფუძნებლებს შორის არსებობს უთანხმოება. საჩივრის ავტორების განმარტებით, შპს-ს ერთ–ერთი კომპანიის, „...“, მიმართ ბუღალტრული დოკუმენტაციით დავალიანება 2 მილიონ ლარამდე ჰქონდა. კომპანია „...“-მა სარჩელით მიმართა სასამართლოს შპს „...-ის“ წინააღმდეგ, სადაც კომპანიას ლ. და დ. ა.-ების ძმიშვილი, ადვოკატი დ. ა. იცავდა.

1.3 საჩივრის ავტორების განცხადებით, ადვოკატი დ. ა. საპატიო მიზეზის არსებობის გარეშე არ გამოცხადდა მეორე სასამართლო სხდომაზე, რადგანაც მის მიზანს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა წარმოადგენდა. დავის საგანი სოლიდურ თანხებს ეხებოდა, რის გამოც სასამართლოს სხდომის მდივანი დაუკავშირდა ადვოკატს, მან კი საპატიო მიზეზზე მითითების გარეშე უთხრა, რომ სასამართლოს შეეძლო ემსჯელა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებაზე. სხდომის მდივანი ასევე დაუკავშირდა პარტნიორებს და აცნობა,

რომ სხდომაზე კომპანიის წარმომადგენელი უნდა გამოცხადებულიყო, ვინაიდან არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი. მომჩივანის თქმით, როდესაც ადვოკატს დაუკავშირდა, მან უპასუხა, რომ ასე იყო საჭირო კომპანიის ინტერესებისთვის. გ. კ.-ის განმარტებით, ადვოკატს სხდომაზე გამოუცხადებლობა არავისთან შეუთანხმებია.

1.4 საჩივრის ავტორების განმარტებით, მათთვის ცნობილია, რომ შპს „...“–ის ხელმძღვანელი პირები და პარტნიორები პარტნიორ ლ. და დ. ა.-სთან, ასევე ადვოკატ დ. ა.-სთან დაახლოებული პირები არიან. პარტნიორების მიზანს კომპანიის საწინააღმდეგოდ სააღსრულებო ფურცლის მიღება და თანხის ამოღება წარმოადგენს. პარტნიორები დ. და ლ. ა.-ები ადვოკატ დ. ა.-ის დახმარებით კომპანიის საწინააღმდეგოდ მოქმედებენ, ამის ერთ–ერთ გამოვლინებას სწორედ ადვოკატის სხდომაზე გამოუცხადებლობა წარმოადგენს. ადვოკატმა დ. ა.-მ პროცესზე გამოუცხადებლობით მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა კომპანიას. მოსამართლემ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება და კომპანია შპს „...“ მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა თანხის გადახდა 976 818.45 აშშ დოლარის ოდენობით.

1.5 საჩივრის ავტორებმა თებერვლის შუა რიცხვებიდან შეწყვიტეს ეთიკის კომისიასთან კომუნიკაცია, საქმის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მისაღებად არც საკუთარი ინიციატივით უკავშირდებოდნენ აპარატს და არც სატელეფონო ზარებს უპასუხეს ეთიკის კომისიის ნომრიდან: xxx xx xx xx 2018 წლის 15, 19, 23 თებერვალს, 9 მარტს, რომელიც განხორციელდა საჩივრის ავტორების მიერ საჩივარში მითითებულ ნომრებზე: xxx xx xx xx , xxx xx xx x. გ. ბ. და ა. კ. მოწვეულნი იყვნენ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე 2018 წლის 09 მარტს. იმის, გამო, რომ საჩივრის ავტორები სატელეფონო ზარებს არ პასუხობდნენ, 27 თებერვალს მათ ჩაბარდათ წერილობითი შეტყობინება, თუმცა საჩივრის ავტორები არ გამოცხადნენ სხდომაზე და არც სხდომის გადადების შუამდგომლობით მოუმართავთ კომისიისთვის.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2018 წლის 13 თებერვალს ადვოკატმა დ. ა.-მ წარმოადგინა წერილობითი ახსნა–განმარტება, ხოლო 2018 წლის 26 მარტს მონაწილეობა მიიღო საპროცესო კოლეგიის სხდომაში. ადვოკატის განმარტებით, მისი კლიენტი არის შპს „...“ (შემდგომში „...“). შესაბამისად სამართლებრივ საკითხებზე ადვოკატს ურთიერთობა ყოველთვის კომპანიის დირექტორთან ჰქონდა.

2.2 ადვოკატის განმარტებით, მას არასდროს ჰქონია ადვოკატ–კლიენტის ურთიერთობა საჩივრის ავტორებთან, ა. კ.-თან და გ. ბ.-თან, რომელნიც არიან კომპანიის 50% წილის მესაკუთრეები. ვინაიდან აღნიშნული პირები არ წარმოადგენდნენ ადვოკატის კლიენტებს, ადვოკატის შეფასებით მას პროფესიული ქცევის სტანდარტები პირიქით უკრძალავს ინფორმაციის მიწოდებას. ადვოკატის შეფასებით, პროფესიული ვალდებულებები მას საჩივრის ავტორის მიმართ არ ეკისრებოდა და აღნიშნულიდან გამომდინარე ისინი საჩივრის შემოტანაზე არაუფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ.

2.3 ადვოკატი საჩივარში წარმოდგენილ პოზიციასთან მიმართებით განმარტავს, რომ 2018 წლის 18 იანვრის სხდომაზე მისი გამოუცხადებლობის მიზეზს ჯანმრთელობის მდგომარეობა

წარმოადგენდა. მისი თქმით, მას აქვს თანდაყოლილი ასთმა და პერიოდულად ემართება ასთმური შეტევები. ადვოკატს სხდომის დღეს ასთმური შეტევა ჰქონდა და ფიზიკურად ვერ შეძლებდა სასართლოში გამოცხადებას. დ. ა. აღნიშნავს, რომ მას მართლაც ჰქონდა სხდომის მდივანთან კომუნიკაცია, თუმცა საკუთარი ინიციატივით, რა დროსაც აცნობა, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ გამოცხადდებოდა სხდომზე, ასევე განუცხადა, რომ სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში, იარსებებდა მისი გაუქმების საფუძველი, რასაც ადასტურებს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება. ადვოკატის თქმით, აღნიშნულ გარემოებას საჩივრის ავტორები არასწორ ინტერპრეტაციას უკეთებენ. ადვოკატმა იგივე ინფორმაცია მიაწოდა კომპანიის დირექტორსაც.

2.4 ადვოკატის განმარტებით, ასთმური შეტევა შესაძლოა გაუტოლდეს დაუძლეველ ძალას, ვინაიდან მას ფიზიკური მდგომარეობა არ აძლევდა პროცესზე გამოცხადების შესაძლებლობას. ერთადერთი რაც იმ დღეს შეძლო, ინფორმაცია მიაწოდა სასამართლოს და კლიენტის წარმომადგენელს, კომპანიის დირექტორს.

2.5 ადვოკატის განცხადებით, 2018 წლის 18 იანვარის დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაასაჩივრა. საქმის წარმოება მოსამზადებელ ეტაპზეა. საქმის განხილვა ჭიანურდება, ვინაიდან კომპანიის მიმართ გადახდისუუნარობის საქმისწარმოება დაიწყო, კომპანიას ამ ეტაპზე აღარ ჰყავს დირექტორი და ადვოკატიც ამ პროცესში ვეღარ მონაწილეობს, კომპანიის წარმომადგენელია აღსრულების ეროვნული ბიუროს მეურვე.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი დ. ა. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №..../, სპეციალიზაცია – საერთო.

3.2 ა. კ.-მა და გ. ბ.-მა ეთიკის კომისიას მომართეს 2018 წლის 26 იანვარს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელებულია 2018 წელს. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე (2009 წლის რედაქცია) არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ დ. ა.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32–ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30–ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამოტივაციო ნაწილი

5.1 საპროცესო კოლეგია ადვოკატის პოზიციასთან დაკავშირებით, რომ საჩივრის ავტორები წარმოადგენენ არაუფლებამოსილ განმცხადებლებს, აღნიშნავს, რომ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე–6 მუხლის თანახმად: „დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია: ა) პირის საჩივარი, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები, გარდა ანონიმური საჩივრისა.“ საქმეში არსებული 2017 წლის 26 დეკემბრის მინდობილობით დასტურდება, რომ ადვოკატ დ. ა.-ის კლიენტს წარმოადგენს კომპანია შპს „....“ დ. ა.ს კომპანიის პარტნიორებთან – ა. კ.-თან და გ. ბ.-სთან უშუალოდ არ აკავშირებდა ადვოკატ–კლიენტის ურთიერთობა, თუმცა საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატის ქმედებებს შეეძლო პირდაპირი გავლენა მოეხდინა პარტნიორების კანონიერ უფლებებსა და ინტერესებზე. კერძოდ, ა. კ. და გ. ბ. მთლიანობაში ფლობენ კომპანია „...“-ის 50%–იან წილს, შესაბამისად ისინი არიან კომპანიის ბენეფიციარი მესაკუთრეები. კანონით ან წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სწორედ პარტნიორი და არა დირექტორი ახორციელებს კომპანიის ხელმძღვანელობას. როგორც წესი აღნიშნული ეხება მნიშვნელოვანი გარიგებების დადებას ან სხვა შიდა კორპორაციული გადაწყვეტლებების მიღებას. კერძო შემთხვევებში, პარტნიორები დამატებით ახორციელებენ კომპანიის წარმომადგენლობას, მაგ. დირექტორთან ურთიერთობისას. შესაბამისად, ადვოკატის მიერ კომპანიასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები უშუალოდ ეხება პარტნიორების ქონებრივ ინტერესებს, გამოხატულს კომპანიაში წილის ფლობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ გ. ბ. და ა. კ., წარმოადგენენ დაინტერესებულ პირებს ადვოკატის მიერ შპს ,,...“-სთვის. პროფესიული სტანდარტების დაცვით მომსახურების გაწევით და განსახილველ პრეტენზიასთან მიმართებით უფლებამოსილნი არიან კომისიას მომართონ საჩივრით.

5.2 საჩივრის ავტორების პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატი დ. ა. კომპანია შპს ,,...-ის“ სასამართლო წარმომადგენლობისას კომპანიის დანარჩენ პარტნიორებთან შეთანხმებით განზრახ არ გამოცხადდა 2018 წლის 18 იანვარს სასამართლო პროცესზე. მოპასუხე მხარის პროცესზე გამოუცხადებლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი გახდა და შპს „...“-ს დაეკისრა თანხის გადახდა მოსარჩელის - ,,....” სასარგებლოდ.

5.3 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ დ. ა.-ის მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.“

5.4 კლიენტის კეთილსინდისიერად წარმომადგენლობა ნიშნავს ადვოკატმა სათანადო გულმოდგინებითა და სასამართლოში საქმის მიმდინარეობისას ყველა რისკის შეფასებით, გამოყოს აუცილებელი დრო საქმის შესწავლისთვის და წარმომადგენლობისთვის, საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული საშუალებები გამოიყენოს კლიენტის ინტერესების

დასაცავად, მათ შორის დროულად გამოცხადდეს სასამართლო პროცესზე, ხოლო თუ საპატიო მიზეზეით ვერ ცხადდება პროცესზე, მიაწოდოს ინფორმაცია სასამართლოს და კლიენტს.

5.5 ეთიკის კომისიამ 2010 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილებით, საქმეში N026/10, განმარტა, რომ ,,ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ განხორციელებული საპროცესო ქმედებების და ტაქტიკის არსებითი სამართლებრივი შეფასება, მათ შორის, ეთიკის კომისია ვერ შეაფასებს, თუ რამდენად საფუძვლიანი იყო ადვოკატის მიერ პროცესზე წარმოთქმული სიტყვა ან მომზადებული დოკუმენტი. თუმცა, კეთილსინდისიერად განხორციელებულ წარმომადგენლობად არ ჩაითვლება, თუ ადვოკატი საერთოდ არ ცხადდება პროცესზე, ასევე არ ასრულებს კლიენტის მითითებებს, თუ არ არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი ამ მითითებების შეუსრულებლობისა, რაც პირველ რიგში შეიძლება გამოიხატოს კლიენტის სამართლებრივი პოზიციის ზიანში, თუმცა, ამ დროსაც ძირითად გადაწყვეტილებას კერძო ავტონომიის ფარგლებში იღებს კლიენტი ადვოკატისგან მიღებული კვალიფიციური რჩევის შემდეგ.“

5.6 საჩივრის ავტორებმა სადავოდ გახადეს ადვოკატ დ. ა.-ის კლიენტის, შპს ,,...“-ის ინტერესების მიხედვით მოქმედება და გამოთქვეს ვარაუდი, რომ ადვოკატი განზრახ არ გამოცხადდა 2018 წლის 18 იანვარს სასამართლო პროცესზე.

5.7 დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილი მასალებით ირკვევა და მხარეებიც არ ხდიან სადავოდ იმ ფაქტს, რომ ადვოკატი დ. ა. 2018 წლის 18 იანვრის სასამართლო პროცესზე არ გამოცხადდა, რის გამოც სასამართლომ კომპანიის წინააღმდეგ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება და მოპასუხე მხარეს შპს-ს „...”-ის სასარგებლოდ დააკისრა 976 818.45 აშშ დოლარის ოდენობით თანხის გადახდა. დასადგენია ადვოკატის სხდომაზე გამოუცხადებლობა რა მიზეზით იყო განპირობებული. საპროცესო კოლეგია მიზანშეწონილად თვლის აღნიშნოს იურიდიული პირის, როგორც კლიენტის წარმომადგენლობის თავისებურებები. როგორც ადვოკატმა განაცხადა, ის მოქმედებდა კლიენტის წარმომადგენლობაზე ორგანულად უფლებამოსილ პირთან - კომპანიის დირექტორთან შეთანხმებით. ეს არის ჩვეულებრივი პრაქტიკა, როდსაც ადვოკატი წარმოადგენს იურიდიულ პირს. დირექტორის მეშვეობით შპს-სთვის, როგორც სამართლის ფიქციური სუბიექტისთვის, უზრუნველყოფილია თუმცა დირექტორი ამით მაინც არ ხდება ადვოკატის კლიენტი. არის შემთხვევები, როდესაც ადვოკატმა უნდა შეაფასოს თავად დირექტორი რამდენად მოქმედებს კომპანიის ინტერესებიდან გამომდინარე და მის მიერ ადვოკატისთვის მიცემული მითითებები რამდენად გამომდინარეობს კომპანიის ინტერესებიდან. კომისია ადვოკატის ქცევას ამოწმებს კლიენტთან მიმართებაში. როდესაც ადვოკატი არ ცხადდება სასამართლო სხდომაზე და კლიენტს აყენებს მის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის რისკის წინაშე, თუნდაც ადვოკატს შესაბამისი ინსტრუქცია ჰქონდეს მიღებული დირექტორისგან, შესაფასებელია, რამდენად იყო ადვოკატის ეს ქმედება კლიენტის ინტერსების კეთილსინდისიერად დაცვა. აღნიშნულის მტკიცების ტვირთი არის ადვოკატზე, რადგან მისი სხდომაზე გამოუცხადებლობა უდაო გარემოებაა.

5.8 ადვოკატმა განმარტა, რომ 2018 წლის 18 იანვარს სასამართლო სხდომაზე გამოცხადება ვერ შეძლო ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე - ჰქონდა ასთმური შეტევა, რაზეც თავად

დაუკავშირდა მოსამართლის თანაშემწეს და აცნობა, ასევე მიაწოდა ინფორმაცია კლიენტს, შპს-ს დირექტორს; აღნიშნულის დასადასტურებლად ადვოკატმა წარმოადგინა სამედიცინო ცნობა, სადაც აღნიშნულია, რომ ადვოკატს აქვს ქრონიკული ასთმა. საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 18 წლის დაუსწრებელი გადაწყვეტილებაში საქმეზე N2/xxxx–17 აღნიშნულია, რომ ადვოკატი დ. ა. დაუკავშირდა მოსამართლის თანაშემწეს და მიაწოდა ინფორმაცია სხდომაზე გამოცხადების შეუძლებლობის თაობაზე, ასევე განუმარტა, რომ სასამართლოს შეეძლო ემსჯელა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, თუმცა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში გაასაჩივრებდა. აღნიშნულს ასევე ადასტურებს ადვოკატის მიერ მისი მობილურიდან 2018 წლის 18 იანვარს განხორციელებული ზარების დეტალური ამონაწერი, კერძოდ ზარი სასამართლოს ნომერზე: xxxxxxxxxx, ზარის განხორციელების დრო 17:50 სთ. სხდომის ოქმით დგინდება, რომ სხდომა გაიხსნა 17:57 სთ-ზე, შესაბამისად ადვოკატმა სასამართლოს ინფორმაცია მიაწოდა სხდომის დაწყებამდე.

5.9 ადვოკატის სხდომაზე გამოცხადების შეუძლებლობის შესახებ ცნობილი იყო კლიენტისთვისაც, რაც დგინდება მოსამართლის თანაშემწის 2018 წლის 18 იანვრის სატელეფონო საუბრის აქტით კომპანიის დირექტორთან, გ. ა.-სთან. სატელეფონო აქტის თანახმად, კომპანიის დირექტორმა თანაშემწეს აცნობა, რომ წარმომადგენელი ვერ შეძლებდა სხდომაზე გამოცხადებას.

5.10 დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს საჩივრის შეტანის ცნობისა და საჩივრის ასლის საფუძველზე დგინდება, რომ ადვოკატმა 2018 წლის 01 თებერვალს გაასაჩივრა კომპანია შპს „...“-ის წინააღმდეგ მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება, საფუძველი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატმა საკმარისი მტკიცებულებები წარმოადგინა, რამაც კომისიას შეუქმნა დასაბუთებული ვარაუდი, რომ ადვოკატის სხდომაზე გამოუცხადებლობა არ იყო გამოწვეული არაკეთილსინდისიერებით. შესაბამისად, კოლეგიის შეფასებით ადვოკატს არ დაურღვევია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი და არ არსებობს ადვოკატ დ. ა.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5.11 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ 30-ე მუხლის პირველი პუნქტით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №005/18 არ აღიძრას დისციპლინური დევნა ადვოკატ დ. ა.-ის /სიითი №..../ მიმართ.

2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე:	/ინგა სეხნიაშვილი/
კოლეგიის წევრი:	/კონსტანტინე გელაშვილი/
კოლეგიის წევრი:	/ირაკლი კორძახია/